ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.10.2017
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 020/17

შეკითხვა:

ადვოკატი „ბ“ სააპელაციო სასამართლოში წარმოადგენს ფიზიკურ პირ „გ“-ს ინტერესებს ადმინისტრაციულ საქმეზე. ადვოკატ „ბ“-ს რამდენიმე დღის წინ დაუკავშირდა ზემოხსენებული პირის ნათესავი - ბიძაშვილი, (რაც აქამდე პირველად მოხდა, ვინაიდან ამ პირს არ ჰყავს კანონით ახლო ნათესავების რიგში მოხსენიებული პირები) და განუცხადა რომ მას ჰქონდა მასთან საქმე და სურდა პირადად გასაუბრება. პირადი შეხვედრისას მან ადვოკატს გადასცა წერილი სადაც არის აღნიშნული რომ ის პირი რომლის ინტერესებსაც ადვოკატი „ბ“ წარმოადგენს არის დაავადებული (სამედიცინო ტერმინოლოგიის თანახმად) შიზოფრენიით, რაც არის მისი გენეტიკური დაავადება და რომ ამ პირის სამედიცინო დოკუმენტაცია, რაც დაადასტურებს ზემოაღნიშნულს ინახება კონკრეტულ კლინიკაში (კლინიკის სახელი მითითებულია). მოცემულ წერილში აღწერილია მისი ახლო ნათესავების ავადმყოფობისა და ამის ფონზე მათი გარდაცვალების მიზეზები. ხოლო რაც შეეხება საკითხის სირთულეს აღნიშნული მდგომარეობს მასში, რომ კლიენტ „გ“-სთვის უცნობია ის ფაქტი, რომ ადვოკატი „ბ“ ინფორმირებულია ზემოაღნიშნულზე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი „გ“ გაიგებს ამ ინფორმაციას, აღნიშნული ფაქტი შეიძლება გახდეს მისი თვითმკვლელობის მიზეზი, რადგან იგი მალავს ამ ინფორმაციას და მან აღნიშნული ერთხელ უკვე სცადა, თუმცა ეს ინფორმაცია შესაძლებელია საფუძვლად დაედოს მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას რომელ საქმეზეც წარმოადგენს ადვოკატი „ბ“ მის ინტერესებს, ვინაიდან ხელშეკრულების დადებისას შესაძლებელია აღმოჩნდეს რომ კლიენტი „გ“ არ იყო სრულად ქმედუნარიანი და დადგეს იმ გარიგების ბათილობის საკითხი, რომელმაც იგი დააზარალა.

მოცემულ შემთხვევაში, როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი? კერძოდ, წარადგინოს თუ არა მან ზემოხსენებული დოკუმენტი?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მიხედვით, „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს“.

მოცემულ შემთხვევაში, კლიენტის საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში ადვოკატს კლიენტ „გ“-ს ნათესავმა გადასცა სამედიცინო დოკუმენტი, რაც ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ ფიზიკური პირი „გ“ შიზოფრენიით იყო დაავადებული. მოცემული დოკუმენტის სასამართლოში წარდგენის შემთხვევაში დავა კლიენტის სასარგებლოდ დასრულდება და შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა იმ საქმისთვის, რის თაობაზეც ადვოკატი უწევს იურიდიულ დახმარებას ზემოაღნიშნულ კლიენტს. ამავე დროს, ადვოკატისთვის ცნობილია კლიენტის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, იმის თაობაზეც, რომ კლიენტმა ბევრჯერ სცადა თვითმკვლელობა და აღნიშნული ინფორმაციის მისთვის მიწოდებაც კი შესაძლებელია მისი ზიანის მომტანი იყოს.

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად. ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდება, როგორც შეკითხვიდან ირკვევა, შესაძლოა ზიანის მომტანი იყოს.

კლიენტის საქმის შედეგისთვის შესაძლოა, მნიშვნელოვანია მოცემული დოკუმენტის სასამართლოში წარდგენა, თუმცა მოცემული ფაქტი არ ამართლებს იმ გარემოებას, რომ კლიენტის ინტერესები დაზიანდეს. ადვოკატმა უნდა შეაფასოს არსებული გარემოება, რამდენად შესაძლებელია ზემოაღნიშნული დოკუმენტის შესახებ მიაწოდოს მის კლიენტს ინფორმაცია, ისე რომ არ დაზიანდეს კლიენტის ინტერესები და მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში წარადგინოს სასამართლოში მოცემული დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს კლიენტის შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც შესაძლოა არ სურდეს მას.

დასკვნა:

ადვოკატმა კლიენტის საქმის თაობაზე ინფორმაციის, მათ შორის დოკუმენტის სასამართლოში წარდგენისას უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ გამოიყენოს ის მისი თანხმობის გარეშე, რადგან კლიენტს შესაძლოა არ სურდეს მისი საქმის თაობაზე რომელიმე

დოკუმენტის სასამართლოსთვის მტკიცებულების სახით წარდგენა, მიუხედავად იმისა, რამდენად მნიშვნელოვანია მისი გამოყენება საქმის წარმატებით დასრულებისთვის.

ეთიკის კომისიის რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.